

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფასიანი ქაღალდების ბაზრის დეპარტამენტში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის დეპარტამენტის ამოცანა: საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ვაჭრობის სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

მოვალეობები:

- საზედამხედველო სუბიექტების შეფასება, რისკების ანალიზი, და შესაბამისი საზედამხედველო ღონისძიებების მომზადება და გატარება;
- საზედამხედველო სუბიექტების ადგილზე ინსპექტირების დაგეგმვა და შემოწმება, შემოწმების ანგარიშებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის და დაკავშირებული ევროდირექტივების შესწავლა/ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ დონეზე მოცემული პრაქტიკის დანერგვა/გაზიარება.

ძირითადი მოთხოვნები:

- **განათლება:** უმაღლესი (სასურველია ეკონომიკურ, ფინანსურ ან იურიდიულ სფეროში);
- ინგლისური ენის ცოდნა;
- **მუშაობის გამოცდილება:** საფინანსო სფეროში მუშაობის 2 წლის გამოცდილება;
- **კომპიუტერული პროგრამები:** MS Excel, MS Word, MS Outlook, MS Powerpoint - კარგად
- **უცხო ენები:** ინგლისური ენა - B2; რუსული ენა - B1

სასურველია:

- ფინანსების სფეროში 2-3 წლიანი გამოცდილება;
- სასურველია რეგულირების სფეროში გამოცდილება;

საკანონმდებლო ბაზა: „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობისა და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტები, საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელი წესები და ინსტრუქციები;

კომპეტენციები

- შიდა კომუნიკაციის დაგეგმვა და წარმართვა;
- მოლაპარაკებების წარმართვა; იდეების დასაბუთება, დარწმუნება;
- პრეზენტაციის მომზადება, ჩატარება;
- წერილების, ანგარიშების, შეთავაზებების მომზადება;
- ცვლილებების ინიცირება და მართვა;
- კრიტიკული აზროვნება;
- შედეგზე ორიენტაცია;
- მოქნილობა და ცვლილებებზე ადაპტურობა.

ანაზღაურება - 3729 ლარი (დარიცხული)

კონკურსის ფორმა: კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით.